სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №ეტ-40/17

დას. საბერიო 01. 12. 2017 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს „ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8, ფაქ. მდებარეობა: გალის რ-ნი, დას. საბერიო (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის – ვალერიან კანკიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და

შპს „კაპრემონტი", იურიდიული მისამართი: ქ. წალენჯიხა, წერეთლის ქ. №7, შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული, მისი დირექტორის – ლევან ღვინჯილიას სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის – **SPA170013892** საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

პრეამბულა

- მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად გამოხატავს მათ ნებას და თანაბრად იცავს მათ უფლებებს, არცერთი მხარე არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.
- მხარეები სრული პასუხისმგებლობით ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მოვალებად სამართლებლივ დოკუმენტს.
- მხარეები არაორაზროვნად და სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ თითოეული მათგანი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- მხარეები იძლევიან გარანტიას და ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ სრული სამართლებრივი უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების გასაფორმებლად.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „სამშენებლო სამუშაო" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 "ტექნიკური დავალება" – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

- შპს „ენგურჰესი"-ს ბალანსზე რიცხული დას. საბერიოში არსებული 1 ერთეული 2 ოთახიანი საცხოვრებელი ბინის რემონტი;
- კლუბის შენობის სან. კვანძის რემონტი;
- საბავშვო ბაღის ოთახების და სან. კვანძის რემონტი;
- წყალსაქაჩი სადგურის გადახურვა;

ხელშეკრულებას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდია – 45400000.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 33350 (ოცდაცამეტი ათას სამასორმოცდაათი) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;

3.2 ანგარიშსწორების ფორმაა-უნაღდო ანგარიშსწორება;

3.3 ანგარიშსწორება:

3.3.1 წინასწარი ანგარიშსწორება არ განიხილება.

3.3.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოებზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში.

3.3.3 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და მიმწოდებლის მიერ ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში.

4. სამუშაოს შესრულების ადგილი, ვადები და პირობები

4.1 სამუშაოების შესრულების ადგილია: გალის რ-ნი, დას. საბერიო.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადაა: 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს სამუშაოები შეასრულოს განსაზღვრულ ვადაზე ადრე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიღება ხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.

5.2 შესრულებულ სამუშაოებზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დგება ტენდერის პირობებით გათვალისწინებული მოცულობის სრულად შესრულების შემდეგ, რომელსაც ასევე ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა-ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირებია:

შპს „ენგურჰესი"-ს ტექნიკური დირექტორი – გ. ხუბუა;
შპს „ენგურჰესი"-ს რემონტების მენეჯერი – ი. შონია;

შპს „ენგურჰესი"-ს კომუნალური განყოფილების უფროსი – ს. კვირკველია;
შპს „ენგურჰესი"-ს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების ინჟინერი – რ. ჯანჯღავა;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
- მკაცრად დაიცვას სამუშაოს დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
- მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;
- სამუშაო შეასრულოს საკუთარი მასალებით, სამუშაო იარაღებითა და სამარჯვებით.
- „მიმწოდებლის" მხრიდან პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოახსენოს "შემსყიდველის" წარმომადგენელს, ჯგუფის უფროსს ან მისი არყოფნის პერიოდში ნებისმიერ წევრს სამუშაოს შესრულებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

6.2 "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
- უზრუნველყოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გონივრულ ვადაში გადაწყვეტა;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ დროულად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" შესრულებული სამუშაოს საფასური.

6.3 სამუშაოს დაწყებამდე მხარეები იძლევიან წერილობით ინფორმაციას მათი მხრიდან სამუშაოს წარმოებასა ("მიმწოდებელი") და ზედამხედველობაზე ("შემსყიდველი") პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ინპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
- შპს „ენგურჰესი"-ს ტექნიკური დირექტორი – გ. ხუბუა, ჯგუფის ხელმძღვანელი;
- შპს „ენგურჰესი"-ს რემონტების მენეჯერი – ი. შონია;
- შპს „ენგურჰესი"-ს კომუნალური განყოფილების უფროსი – ს. კვირკველია;
- შპს „ენგურჰესი"-ს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების ინჟინერი – რ. ჯანჯღავა;

8. გარანტია

8.1 საგარანტიო ვადაა 3 (სამი) წელი. დაზიანების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან რეაგირება 24 საათის განმავლობაში, აღდგენა: დაზიანების სირთულიდან გამომდინარე გონივრულ ვადებში მიმწოდებლის მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

8.2 საგარანტიო პერიოდი არ ეხება ფორსმაჟორული და მექანიკური ზემოქმედებით მომხდარ დაზიანებებს.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ

ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

9.5 შემსყიდველი უფლებამოსილია შესასრულებელი სამუშაოების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

9.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით.

9.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

10.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

10.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

10.3. ფასთა ცვლილება განიხილება სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მაგრამ არა უმეტეს სახელშეკრულებო თანხის 10%-ისა

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს "ენგურჰესი"
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი.
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8
სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის
ფილიალის ზუგდიდის განყოფილება
ბ/კ MIBGGE22 ს/კ 251716371
ა/ა GE59PC0173600100015015

"მიმწოდებელი"
შპს "კაპრემონტი"
იურიდიული მისამართი:
ქ. წალენჯიხა, წერეთლის ქ. №7
სს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კ LBRTGE22 ს/კ 242730023
ა/ა GE72LB0113120452171000

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

_____ ბ. კანგია

დირექტორი

_____ ლ. ღვინჯილია

შპს "ენგურჰესი"-ს ბალანსზე რიცხული დას.საბერიოში არსებული I ერთეული საცხოვრებელი ბინის რემონტის, წყალსაქაჩი სადგურის გადახურვის, კლუბისა და საბავშვო ბაღის კეთილმოწყობის

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდ	მასალები		ხელფასი		ჯამი ლარში
				ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	
	I. ერთეული საცხოვრებელი ბინის რემონტი							
1.1.	ამორტიზირებული,შესასვლელი ხის კარის დემონტაჟი და რკინის კარის მონტაჟი, ზომით 2,17*0,87	ცალი	1	580,00	580,00	20,00	20,00	600,00
1.2.	ლოჯის ხის კედლის დემონტაჟი და გატანა	$მ^2$	7,5			0,40	3,00	3,00
1.3.	ლოჯში ამორტიზირებული მეტლახის აყრა და გატანა	$მ^2$	12			0,40	4,80	4,80
1.4.	ლოჯის კედლის ამოშენება წვრილი ზომის საკედლე ბლოკით	$მ^2$	7,5	14,00	105,00	11,00	82,50	187,50
1.5.	ლოჯის ამოშენებული კედლის შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	$მ^2$	15	5,00	75,00	5,00	75,00	150,00
1.6.	ლოჯის ამორტიზირებული ხის კარის დემონტაჟი და მეტალოპლასმასის კარის მონტაჟი, ზომით 2,15*1,00	$მ^2$	2,15	120,00	258,00	20,00	43,00	301,00
1.7.	ლოჯის ამორტიზირებული ხის ფანჯრის დემონტაჟი და მეტალოპლასმასის ფანჯრის მონტაჟი, ზომით 2,50*1,60	$მ^2$	4	120,00	480,00	20,00	80,00	560,00
1.8.	სააბაზანოს ამორტიზირებული ხის კარის დემონტაჟი და მატალოპლასმასის კარის მონტაჟი ზომით 2,10*0,80	$მ^2$	1,68	120,00	201,60	20,00	33,60	235,20
1.9.	საძინებლის ამორტიზირებული ხის ფანჯრის დემონტაჟი და მეტალოპლასმასის ფანჯრის მონტაჟი, ზომით 1,45*1,55	$მ^2$	2,25	120,00	270,00	20,00	45,00	315,00
1.10.	ორი ოთახის ამორტიზირებული იატაკის აყრა და გატანა	$მ^2$	30			0,40	12,00	12,00
1.11.	ორი ოთახის იატაკზე ლამინატის დაგება	$მ^2$	30	19,00	570,00	4,00	120,00	690,00
1.12.	შესასვლელის და სამზარეულოს ამორტიზირებული იატაკის აყრა და გატანა	$მ^2$	11			0,40	4,40	4,40
1.13.	შესასვლელის და სამზარეულოს იატაკზე ლამინატის დაგება დაგება	$მ^2$	11	19,00	209,00	4,00	44,00	253,00
1.14.	ლოჯის იატაკზე მეტლახის დაგება	$მ^2$	12	17,00	204,00	11,00	132,00	336,00
1.15.	სანტექნიკისა და სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	გ/მ	16	8,00	128,00	4,00	64,00	192,00
	ჯამი 1				3080,60		763,30	3843,90
	II. წყალსაქაჩი სადგურის გადახურვა							

2.1.	არსებული შიფერის სახურავის მოხსნა და ჩამოტანა	მ²	98			0,60	58,80	58,80
2.2.	დაზიანებული მოლარტყვის მოხსნა და ჩამოტანა	გ/მ	438			0,60	262,80	262,80
2.3.	დაზიანებული ძელაკის მოხსნა და გატანა	გ/მ	130			0,60	78,00	78,00
2.4.	ახალი ძელაკის მოწყობა, ზომით 15*10	გ/მ	130	8,20	1066	1,20	156	1222
2.5.	ახალი მოლარტყვა, ზომით 100*30 მმ	გ/მ	438	2,20	963,60	0,80	350,40	1314,00
2.6.	შენობის გადახურვა შეღებილი მეტალოპროფნასტილით 0,5მმ	მ²	98	13,50	1323,00	4,00	392,00	1715,00
	ჯამი II				3352,60		1298,00	4650,60
	III. კლუბის კეთილმოწყობა							
3.1.	ორი საპირფარეშოს კედლებზე კაფელის გაკვრა	მ²	60,8	17,00	1033,60	11	668,80	1702,40
3.2.	ორი საპირფარეშოს იატაკზე მეტლახის დაგება	მ²	15,97	17,00	271,49	11	175,67	447,16
3.3.	ორისაპირფარეშოს ჭერის გაწმენდა, ორჯერადი შეფითხვა, წყალემულსიით ორჯერადი შეღებვა	მ²	15,97	3,30	52,70	6	95,82	148,52
3.4.	ორი საპირფარეშოს კედლების გაწმენდა, შეფითხვა, წყალემულსიით ორჯერადი შეღებვა	მ²	43,92	3,30	144,94	6	263,52	408,46
3.5.	ორი საპირფარეშოს ამორტიზირებული ხის კარების დემონტაჟი და მეტალოპლასტმასის 4 კარის მონტაჟი (ზომით: 0,80*2,10; 0,75*2,10; 0,90*2,20; 0,95*2,15)	მ²	7,27	120,00	872,4	25	181,75	1054,15
3.6.	საპირფარეშოს ხის ფანჯრის დემონტაჟი და მეტალოპლასტმასის ფანჯრის მონტაჟი, ზომით1,00*1,75	მ²	5,25	120,00	630	25	131,25	761,25
3.7.	სანტექნიკისა და წყლის ქსელის მოწყობა	გ/მ	55	8,00	440	4	220	660
3.8.	პადონის მოწყობა ჩამრეცხით	კომპლ	2	100,00	200	38	76	276
3.9.	ხელსაბანი ნიჟარის მოწყობა	კომპლ	2	100,00	200	27	54	254
3.10.	ელ.გაყვანილობის მონტაჟი 2*2,5 სპილენძის სადენით	გ/მ	60	1,70	102	6	360	462
3.11.	ჩამრთველ-ამომრთველის მონტაჟი	ცალი	10	4,50	45	2	20	65
	ჯამი III				3992,13		2246,81	6238,94
	IV. საბავშვო ბაღის კეთილმოწყობა							
4.1.	დერეფნის იატაკზე ბეტონის მოჭიმვა	კუბ.მ	3,7	130,00	481,00	40,00	148,00	629,00
4.2.	დერეფნის იატაკზე მეტლახის დაგება	მ²	37	17,00	629,00	11,00	407,00	1036,00

4.3.	ოთახის ამორტიზირებული ხის კარის დემონტაჟი და მეტალოპლასმასის კარის მონტაჟი, ზომით 2,15*0,95	$მ^2$	2,04	120,00	244,80	25,00	51,00	295,80
4.4.	ოთახის კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით	$მ^2$	57,6	5,00	288,00	5,50	316,80	604,80
4.5.	შელესილი კედლების ორჯერადი შეფითხვა, წყალემულსიით ორჯერადი შეღებვა	$მ^2$	57,6	3,30	190,08	6,00	345,60	535,68
4.6.	ერთი ოთახის იატაკზე ბეტონის მოჭიმვა	კუბ.მ	6,5	130,00	845,00	40,00	260,00	1105,00
4.7.	ორი ოთახის იატაკზე ლამინატის დაგება	$მ^2$	108,2	19,00	2055,80	4,00	432,80	2488,60
4.8.	აივნის იატაკზე ბეტონის მოჭიმვა	კუბ.მ	0,9	130,00	117,00	40,00	36,00	153,00
4.9.	აივნის იატაკზე მეტლახის დაგება	$მ^2$	9	17,00	153,00	11,00	99,00	252,00
4.10.	ორი სააბაზანოს კედლებიდან ამორტიზირებული კაფელის მოხსნა	$მ^2$	16,82			0,40	6,73	6,73
4.11.	ორი სააბაზანოს კედლებზე კაფელის გაკვრა	$მ^2$	16,82	17,00	285,94	11,00	185,02	470,96
4.12.	ორი აბაზანის იატაკიდან ამორტიზირებული მეტლახის მოხსნა	$მ^2$	4			0,40	1,60	1,60
4.13.	ორი აბაზანის იატაკზე მეტლახის დაგება	$მ^2$	4	17,00	68,00	11,00	44,00	112,00
4.14.	სანტექნიკისა და წყლის ქსელის მოწყობა	გ/მ	28	8,00	224,00	4,00	112,00	336,00
4.15.	სააბაზანოში წყალშემრევის მონტაჟი	ცალი	2	90,00	180,00	10,00	20,00	200,00
4.16.	მეტალოპლასტმასის ფანჯარაში ორმაგი შუშის ჩასმა, ზომით (1,21*0,46)*2	$მ^2$	1,11	16,00	17,76	1,40	1,55	19,31
	ჯამი IV				5779,38		2467,102	8246,482
	ჯამი I+II+III+IV				16204,71		6775,21	22979,92
	სატრანსპორტო ხარჯი(ტრანსპორტირება 50-100კმ) მასალებიდან	5%						810,24
	ჯამი							23790,16
	ზედნადები ხარჯები	10%						2379,02
	ჯამი							26169,17
	გეგმიური დაგროვება	8%						2093,53
	ჯამი							28262,71
	დღგ	18%						5087,29
	სულ ჯამი							33350,00

შპს „კაპრემონტის" დირექტორი ლ. ღვინჯილია